საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

ბრძანება №225

თბილისი „13“ 03 2018 წ.

2018 წლის გაზაფხულის პროფესიული ტესტირების გზით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად და შემდგომ საფეხურებზე აპლიკანტთა მიღების გამოცხადების მიზნით, სახელმწიფოს მიერ/მონაწილეობით დაფუძნებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის სპეციალური პროგრამის შევსების ვადების განსაზღვრის თაობაზე

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №37 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „მ“ ქვეპუნქტების, „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის N152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-13 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის 2018 წლის 12 მარტის N278924 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2018 წლის გაზაფხულის პროფესიული ტესტირების გზით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად და შემდგომ საფეხურებზე აპლიკანტთა მიღების გამოცხადების მიზნით, სახელმწიფოს მიერ/მონაწილეობით დაფუძნებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის სპეციალური პროგრამის შევსების ვადა განისაზღვროს 2018 წლის 19 მარტიდან 2018 წლის 25 მარტის ჩათვლით.

2. დაევალოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

ქეთევან ნატრიაშვილი
მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი